# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ [illegible] გარეშე მი[illegible] ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



ანნა ავქსენტის ასული და ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 31 მარტს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი მამიდაშვილის საყვარელი მეუღლე

## მარიამ გრიგოლის ასული კურცხალიასი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე, საკუთარ ბინაზე (ნიკოლოზის ქუჩა № 110). დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 5 აპრილს. ცხედარს დილის 9½ სათ. გამოასვენებენ სახლიდან წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დასაფლავება ამავე ეკლესიის სასაფლაოზე. (1—149—1)

ხუთშაბათს, 31 მარტს ტრაღიკულად გარდაიცვალა

## მარიამ გრიგოლის ასული კურცხალიასი

რასაც აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებული მეუღლე მისი **პავლე იოსების ძე კურცხალია.** პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს რვა საათზე, საკუთარ ბინაზე, ნიკოლოზის ქუჩა, № 110. ცხედარს გამოასვენებენ სახლიდან სამშაბათს, 5 აპრილს დილის 9½ ს. წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა მოხდება ამ ეკლესიის სასაფლაოზე. (1—149—1)

## ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**

### სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე. (თ.—126—16)

### საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი** (101—წ.)

### საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### გიორგი ილიას ძის ჩუბინაშვილის

**მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.** (თ—81—1)

## შეშის საწყობი
### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**
## საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

### ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“
### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები** (112—წ.)

### საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.** (102—წ.)

**ექიმი-დოსტაქარი**
### გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი**
### მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა** სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
### კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

### ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19. 20—67—15


(პარკი) **„ქისეტი“** (პარკი)

## სააღდგომო საჩუქარი კავკ. ჯარის მეომრებისათვის.

კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის უავგუსტოესმა მეუღლემ
**მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ, დიდი მთავრის**
### ნიკოლოზის ასულმა ანასტასიამ
**იკისრა მზრუნველობა სააღდგომო საჩუქრების „ქისეტების“ დასამზადებლად და გასაგზავნად კავკასიის არმიის მხნე ჯარის-კაცებისათვის.**

კავკასიის მკვიდრთ, რომელთაც უყვართ თავისი ჯარი და ამაყობენ მისი სასახელო გამარჯვებით, მოუწოდებენ, გამოიღონ წვლილი ამ კეთილი საქმის მოსაწყობად.

ქრისტეს აღდგომას ბედნიერ დღეს ჩვენს გმირს—მეომრებს დიდად გაახარებს სამშობლოდან მიღებული მისალოცი, როგორც ნიშანი სიყვარულისა და მზრუნველობისა.

ნურავინ მოერიდება შემოწირულობის სიცოტავეს. ყოველს შემოწირულებას, სულ მცირესაც დიდის მადლობით მიიღებენ.

შემოწირულებად მიიღება: ცხვირსახოცები, ყარანდაშები, ფოსტისა და პაპიროზის ქაღალდი, თამბაქო, წუმწუმა, შაქარ-ყინული და სხვა ტკბილეულობა.

შემომწირველთ სთხოვენ: ქისეტში მოათავსონ ყარანდაში, ცხვირსახოცი, 5 ფურც. ფოსტის ქაღალდი, 5 კონვერტი, ¼ გირვ. თამბაქო, 2 პაპიროსის ქაღალდი, კოლოფი წუმწუმა და ¼ გირ. შაქარ-ყინული.

ყოველგვარს შემოწირულებას მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის, **ანასტასია ნიკოლოზის ასულის** მინდობილობით მიიღებს ყოველ დღე 2—4 საათ. გენერალ-ლეიტენანტი **სტალი,** ერმოლოვის ქუჩა, № 9. ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფოსტითაც.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი:** დვინსკის მიდამოებში ჩვენი მზვერავები. ღამე 1 აპრილს, დერგინოვკას ახლომახლო ადგილებში ამოქმედდნენ. სოფ. გორბინსკას სამხრეთით გაარღვიეს მავთულის ხლართების ოთხი წყება და სამხრეთით ამ სოფლიდან ორი სიმაგრე ჩაიგდეს ხელში. მტერმა ამ ადგილებში ზარბაზნების და თოფის ცეცხლი გააჩაღა და რამდენჯერმე კონტრ-იერიში მოიტანა ჩვენზე, მაგრამ მოვიგერიეთ. ბრძოლის მინდორი, ამ სიმაღლეების და გერმანელთა თხრილების შუა, მოფენილი იყო დახოცილი მტრებით. მიაძიოლ-ნაროჩის ტბებტან და სმორგონის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლაა. სმორგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზარბაზნის სროლის შემდეგ, გერმანელებმა შემოგვიტიეს, მაგრამ მოვიგერიეთ. სად. ოლიკის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და გამაგრდა, მიუხედავად მტრის ზარბაზნის მკაცრი სროლისა. 31 მარტს აღმოსავლეთით ტიჯიბუნოვცედან თოფებით და ხანჯლებით შეიარაღებული ავსტრიელები მოუახლოვდნენ ჩვენს თხრილებს, თოფები ძირს დაჰყარეს, ხელები მაღლა ასწიეს და გაიძახოდნენ—ტყვედ წაგვიყვანეთო. როცა მოგვიახლოვდნენ ხანჯლებით ამოქმედდნენ. 1 აპრილს ჩვენმა მფრინავებმა სად. ზუჩკა და ჩრდილოეთ ჩერნოვიცაზე 50 ყუმბარა ჩამოყარეს. ჰაეროპლანები მშვიდობით დაბრუნდნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** ბითლისის მიდამოებში, რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა დაამარცხა ოსმალთა ერთი დივიზია, რომელიც სტამბოლიდან სომხეთში დიდი ხანი არ არის რაც მოვიდა. უკან დახეულ მტერს ვდევნით და ვატყვევებთ. ხელთ ვიგდეთ 13 აფიცერი, 350 ჯარისკაცი და რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი.

**პეტროგრადი,** 3 აპრილი დასავლეთი ასპარეზი. მტერმა ზარბაზნები დაუშინა იკსკიულის სიმაგრეებს. სმორგონის დასავლეთით 2 აპრილს გათენებასას, მტერმა ხელ-ახლად შემოგვიტია. სროლით შევხვდით და წინ წამოწევა ვერ მოახერხეს. იერიშის დროს მტერმა სულის შემხუთავი გაზები იხმარა. ოლიკის სამხრეთით ზოგ ადგილას წინ წავიწიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** შავი ზღვის მიდამოებში და სამხრეთით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ხმელეთის და საზღვაო არტილერიის სროლის მერე, მტერი ყარადერეს სანაპიროების გამაგრებულ ადგილიდან დავძარით. აქედან ტრაპიზონამდე 25 ვერსია. მტრის იერიში ბაიბურთის მიმართულებით დიდი ზარალით მოვიგერიეთ.

**პარიზი,** 1 აპრილი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. არგონებში სენტ-იუბერის მიდამოებში ზარბაზნებით დავაზიანეთ გერმანელების საველე სიმაგრეები. მდ. მაასის დასავლეთით, მორტჰომის მიდამოებში, მთელს დღეს ზარბაზნებით ბრძოლა იყო. მდინარის აღმოსავლეთით მტერმა ჩვენი ბრძოლის მეორე ხაზს ზარბაზნები დაუშინა. ვევრთან დროგამოშვებით საშინელი სროლაა ზარბაზნისა. პონტა-მუსონის დასავლეთით მტრის სასურსათო რაზმი გავფანტეთ. სხვა ადგილებში სიწყნარეა.

**პარიზი,** 2 აპრილი. დილის ცნობა. რუას მიდამოებში მტრის მზვერავმა რაზმმა პუარგილესთან თხრილებზე იერიში მოიტანა, მაგრამ თოფის ცეცხლით მტერი გავფანტეთ. ვერდენის მიდამოებში ღამის განმავლობაში ქვეითა ჯარს არ უმოქმედნია. მაასის დასავლეთ მხარეზე მალანკურის ტყის და „304“ სიმაღლის შუა მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. კორბოს ტყის დასავლეთით ჩვენი ზარბაზნები ამოქმედდა. მაასის აღმოსავლეთით და ვევრის მიდამოებში დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა. ვევრთან მზვერავთა რამდენიმე შეტაკება მოხდა.

**პარიზი,** 2 აპრილი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. არგონებში, მონფოკონის მიდამოებში, საითაც მტრის ჯარი მოდიოდა, ზარბაზნები დაუშინეთ. მაასის დასავლეთით მტერმა მდ. ენის მიდამოებში ზარბაზნის საშინელი სროლა ასტეხა. ბომონის მიდამოებში ორთავე მოპირდაპირემ ზარბაზნების სროლა გააჩაღა. ვევრთან სიწყნარეა. სხვაგან შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანელთა ჯარის მდგომარეობა.**

„რუს. ინვალიდს“ მოჰყავს ინგლისის სამხედრო ჟურნალიდან „ფრავუალან-მილიტარი-რეკორდიდან“, სადაც აღწერილია მდგომარეობა გერმანელთა ჯარისა, წერილში ნათქვამია: ვერდენთან ბრძოლამ დაგვანახვა, რომ გერმანეთი თუმცა ძლიერი მტერია, მაგრამ ისეთი არა, როგორიც ომის დასაწყისში იყო. ძველი აფიცერი სასტიკი და მასთან თავის საქმის ნამდვილი ხელოვანი იყო. აფიცერთა შემადგენლობა შეიცვალა, შეიცვალა ახალი კლასით. ეხლანდელი აფიცრები ყოფილი ვექილები, ინჟენრები, ექიმები, მასწავლებლები არიან. შეიძლება ამათ ჰქონდეთ ერთგვარი მომზადება, მაგრამ მხედრული სული მათ არა აქვთ. მოკავშირეთ უკვირდათ გერმანელ ჯარის თავგანწირულება, რომელიც მოურიდებლად სიკვდილს პირში შესცქეროდა. ეხლანდელი აფიცერი კი მოქალაქეა, ისე რომ მას არა აქვს მემკვიდრეობითი მხედრული შეხედულება. თუმცა გერმანელთა დისციპლინა ძლიერია, მაგრამ იგი მხედრულ ინსტიქტს ვერ შეედრება.

**ვერდენთან ბრძოლა.**

პარიზიდან იტყობინებიან: მას შემდეგ, რაც მტერმა ვერდენის ბრძოლის ხაზს ყველგან შეუტია, სამი დღით შეისვენა. მტრის შეტევა დუომონის ხაზით მათთვის დიდი ზარალით დაბოლოვდა. მტრის მძიმე ზარბაზნები მაასის ორთავ მხარეს კვლავ უშენენ, რომ განაახლონ შეტევა. ფრანგების ზარბაზნებიც ამოქმედდა და მტერს დიდ ზიანს აყენებს. 53 დღის ბრძოლის შემდეგ მტერმა ვერ მიაღწია ფრანგთა უმთავრეს ბრძოლის ხაზს.—მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ დიდი ზარალი მოგვეცა, მაინც დიდის იმედით შევხვდებით მტრის ახალ შეტევას.

**ბეტენკურ-კიუმერის ბრძოლის ხაზი.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: „Petit Parisien“-ის სიტყვით ბეტენკურ-მორტჰომ-კიუმერის ხაზით 15 ვერსის მანძილზე 20.000 გერმანელი მოქმედობდა. ბრძოლა ღამის 10 საათზე დასრულდა. ბეტენკური ფრანგებმა დასცალეს. გენერალ პეტენის ამ გვარ ტაქტიკურ მოქმედებას გაზეთი „National Tidende“ შესანიშნავ საქმეთა სთვლის. თუმცა გერმანელებმა წინ წაიწიეს, მაგრამ ძვირად დაუჯდათ.

**რუსეთის ასპარეზი.**

„რუსკ. ინვალიდი“ სწერს: დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გერმანეთის მთავარ-შტაბში დიდი მუშაობაა, მომავალ ბრძოლისათვის გერმანეთმა დიდძალი ჯარი გადმოიყვანა რუსეთის ასპარეზზე. მათი ფლოტიც დიდ მზადებაშია. ერთი სიტყვით გერმანეთი დიდის ყურადღებით ეპყრობა რიგის და დვინსკის მიდამოებს. იკსკიულკის მიდამოებში გერმანელები კვლავ ამოქმედდებიან, რომ გაარღვიონ ჩვენი ბრძოლის ხაზი და მდ. დვინაზე გადმოვიდნენ.ნაროჩის ტბის ჩრდილოეთით დვინსკამდე გერმანელთა მოქმედებას თვალის ასახვევი ხასიათი ექნება.

**იკსკიულთან ბრძოლა.**

იკსკიულის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა იმას მოწმობს, რომ გერმანელებისათვის ამ ადგილს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ ადგილის აღებით მტრის მოქმედება ფართო ხასიათს მიიღებდა და მთელი ჩრდილოეთ ასპარეზის აღება გაუადვილდებოდათ. სამხედრო მიმომხილველნი ამ აზრს არ იზიარებენ.

იკსკიული, მათი აზრით, არ არი კარები ჩრდილოეთ ასპარეზისათვის, რომ რიგი და მისი მიდამოები ხელთ-იგდონ. ბალტიის მხარეს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ ყველა გზა რიგისაკენ მიდის, ისე რომ იკსკიული არ ჩაითვლება უახლოეს გზად.

**კავკასიის ასპარეზი.**

ოსმალები დიდ ცდაში არიან, რომ რუსების წინსვლა ტრაპიზონისაკენ და ტიგროსის მიდამოებში შეაჩერონ. ამისათვის ოსმალებმა მოიხმარეს მაშველი დივიზია, რომელიც კეპრი-კეს დაცემის შემდეგ გალიპოლიდან გამოიგზავნა. ამის გარდა მათ ჰშველის ბაღდადის ერთი კორპუსიც, მოსულიდან წამოსული, ეგვიპტისათვის გამზადებული. ნეიტრალი პრესის გამოკვლევით, ოსმალთა მესამე არმიის განადგურების შემდეგ, მათ კავკასიის ასპარეზზე ჯარი გააძლიერეს და 200 ათასი კაცამდე აიყვანეს.

**ოსმალეთის ჯარის განაწილება.**

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანელების პრესა ოსმალთა ჯარის განაწილებაზე სწერს: მარტის დამლევს (ახ. სტილით) თრაქიაში 130.000 ჯარის კაცია, სტამბოლის მიდამოებში 65.000, დასავლეთ ანატოლიაში 65000, სილისტრიაში 25.000. სარიაში, მესოპოტომიაში და კავკასიისაკენ 65.000 მაშველი ჯარი გაიგზავნა. ამ ხანობაში სირიაში და სინას კუნძულზე 88 ათასი კაცი იდგა, სპარსეთში 20.000; მესოპოტამიაში 66.000 კაცი და კავკასიის—შავი ზღვის მიდამოებში 113 ათასი, არაბეთში კი 25.000 ჯარის კაცი.

**ჰოლანდია.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ბერლინიდან მოსული ცნობით, ჰოლანდი-

აში გაუგებრობა მღელვარებას იწვევს. ხალხი ომის მოლოდინშია. ჰააგაში, ამსტერდამში და როტერდამში ბანკებიდან ოქრო გამოაქვთ. ჰააგაში და ამსტერდამში ომის მომხრეთა და წინაალმდეგთა შორის შეტაკება მოხდა. — ომი გვწყურიან, ხელი ხმალს, გაიძახოდნენ გერმანეთის მოწინაალმდეგენი.—ძირს ომი, ისმოდა სოციალ-დემ. ხმა.

**ინგლისის და ჰოლანდიის დამოკიდებულება.**

იმის მოლოდინში, რომ მალე შეიკრიბება ჰოლანდიის პალატა, გერმანელებმა გაავრცელეს ხმა: ინგლისს უნდა ულტიმატუმი წარუდგინოს ჰოლანდიას, რომ უკანასკნელმა შესწყვიტოს ყოველივე კავშირი გერმანეთთან. ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია. ჰოლანდიის გაზეთი „Naudesblaad“ სწერს: ჩვენი ჯარი ყოველ წუთს მზათ არის მტერს დაუხვდეს. თვალები არ შეიძლება დავხუჭოთ, საქმის ვითარება კვლავ სერიოზულად უნდა ჩაითვალოს. გაზეთი ინგლისის დესანტს ჰოლანდიის ნაპირებზე შეუძლებლად სთვლის.

**ალბანეთის ასპარეზი.**

ლოზანიდან „Journal de Jeneves“ ატყობინებენ: ბალკანეთში და მცირე აზიაში მოკავშირენი იტალიელებთან ერთად მოქმედობენ. ალბანეთის მდგომარეობა არავითარ შიშს არ იწვევს.

იტალიამ ვალონაში ძლიერი ჯარი გაგზავნა, ასე რომ შიში მოსალოდნელი არ არის. ალბანეთის ასპარეზზე შეიძლება ისეთი ცვლილება მოხდეს, რომ სულ მთლად შესცვალოს ბალკანეთის მდგომარეობა.

**საბერძნეთში.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან: საზოგადო კონცერტი ათინაში კრებად გარდაიქცა. ერთი აფიცერი წამოდგა და ხალხს მიჰმართა სიტყვით, სადაც მეფე ხალხის იდეალების მოღალატეთ დასახა. დარბაზში საშინელი აურზაური მოხდა.

**გერმანეთის ზრახვანი.**

ჰინდენბურგის 50 წლის იუბილეიზე ღენ. ლუდენდორფმა გამოაცხადა: სასიამოვნოა კანცლერის სიტყვა, სადაც აღნიშნულია გერმანული წესწყობილების შემოღება დაპყრობილ ადგილებში.

**ვერდენის მნიშვნელობა.**

„ბირ. ვედომ.“ სწერს: გერმანეთის მთავარ შტაბს გარდაწყვეტილი აქვს ვერდენის აღება, რადგანაც უამისოთ რუსეთის ასპარეზზე მოქმედების დაწყობა შეუძლებელია.

# ბრძოლის ველზე

კავკასიის ასპარეზიდან თანდათან უფრო საინტერესო ამბები მოდის. აგერ ეს მესამე-მეოთხე დღეა მთავარი შტაბი ნელ-ნელ ფარდასა ხდის იმ საიდუმლოს, რაც რომ გამეფებული იყო ამ ორი თვის განმავლობაში. წინა დღეებში გავიგეთ, რომ „აზრუმის მერიდიანის დასავლეთით რუსის ჯარებს ექვსი დღის ბრძოლის შემდეგ მოუგერებიათ ოსმალთა იერიშები“, ახლა ამას დაერთო მეორე ცნობა, რომ „ბითლისის რაიონში მრავალ დღის ბრძოლის შემდეგ რუსებმა დაამარცხეს ოსმალთა ერთ-ერთი დივიზია და ენერგიულად სდევნიან უკან დახეულთ“,—ეს უკანასკნელი ცნობა მთავარმა შტაბმა 2 აპრილს გამოაქვეყნა. „საქართველოს“ მკითხველთათვის არც ერთი და არც მეორე ამბავი არავითარს სიურპრიზს არ შეადგენს. ჩვენს მიმოხილვებში არა ერთხელ გვითქვამს ამ მიმართულებათა მნიშვნელობის შესახებ და შიშიც გამოგვითქვამს, აქედან შესაძლებელია რუსთა წინსვლას ოსმალთა ძალები გადაეღობონო. რატომ და რა მიზეზით, ეს თავის დროზე უკვე ითქვა. ახლა გაკვრით იმას გავიხსენებთ, რომ რუსთა საოპერაციო გზა აზრუმიდან უკან დახეულ ჯართა სადევნელად ბითლისისა და დაბა ხიზანის აღებით შესწყდა. შემდეგი გზა, საითაც უნდა წასულიყვნენ რუსები, ბუნებრივად სერეტისკენაა მიმართული. იმისდა დამოუკიდებლივ თუ რა ჰქონდა რუსეთის მთავარ შტაბს მიზნად, მოსული თუ დიარბექირი, ამ საოპერაციო ძლიერ ბურჯთა წამოქცევა, მას უსათუოდ სერეტის მიმართულებით უნდა უზრუნველ ეყო თავი ოსმალთა თავდასხმისაგან. ბითლისიდან სერეტამდე დაახლოვებით 86½ ვერსია. მისი თითქმის ნახევარი გზა ქვაფენილითაა მოკირწყლული. ეს იყო ომამდე, რა მოხდა შემდეგ არ ვიცით. ამ გზით, მაშასადამე, ჯართა მოძრაობა დიდს გასაჭირს არ შეადგენს. მაგრამ ვიდრე პირდაპირ სერეტისკენ გასწევდნენ რუსის ჯარები, მათ უნდა ხიზანის დაპყრობაზეც ეზრუნათ, ვინაიდან მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრით ოსმალთა ჯარებს თამამად შეეძლებოდათ მუდამ მათს მარცხენა ფრთას გვერდით დაჰმუქრებოდნენ და მთლად ჩაეშალნათ რუსთა განზრახვის გეგმანი. როგორც ვიცით, რუსთა მხედრობის ნაწილი შეტრიალდა ხიზანისაკენ. გასაცვიფრებელი ის იყო, რომ ოსმალებმა ესეც თითქმის უბრძოლველად დასტოვეს, ალბად ცოცხალი ძალის გადასარჩენად. ამის შემდეგ ხმა აღარ მოსულა. არ ვიცოდით, რა ხდებოდა, განაგრძეს რუსებმა მათი დევნა თუ ისევ პირველ მიმართულებას სერეტმოსულს დაუბრუნდნენ? ან-და შესაძლებელი იყო ადგილობრივ პოზიციების გამაგრებას მიჰყვეს ხელი, მასთან ორგანიზაციების შედგენას თვით მცხოვრებთა შორის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხიზანი და მთელი მის გარშემო მხარე მეტ წილად სომხებითაა დასახლებული. რუსების მხედრობამ გამოცდილებით უკვე დაამტკიცა, თუ რას წარმოადგენს მასიურად ეს ხალხი კამპანიისთვის. მცხოვრებთა შორის წესიერი ცხოვრების აღდგენა მათთვის თითქმის უზრუნველი ბაზის გაჩენის თანასწორი იყო. ამიტომაც რუსები აქაურთა მოწესრიგებასაც შეუდგნენ, რომ ოპერაციისთვის ზურგი ყოველთვის გამაგრებული ჰქონოდათ თვით მცხოვრებთაგან. ამნაირად, პოლიტიკა და სტრატეგია აქ განმტკიცების შემდეგ თავის თავად ჰგულისხმობდა, რომ მტერს თავხედობას ძვირად დაუსვამდნენ, თუ კი იგი იმდენს გამბედაობას გამოიჩენდა, რომ მათს წინაალმდეგ გამოელაშქრათ.

მაგრამ მომხდარა ფაქტი. აგერ კარგა ხანია ბრძოლაც გადაუხდიათ ერთ-ერთ დივიზიასთან. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ბითლისის მიმართულებით სახელდობრ რომელ პუნქტთან ხდებოდა ბრძოლა, ან რამდენი ძალები იღებდნენ მონაწილეობას: ან როგორ გავიგოთ დებულება „ერთ-ერთი დივიზია“? ეს, ცოტა არ იყოს, უხერხულს მდგომარეობაში აყენებს მკითხველს და მით უმეტეს, მიმომხილველს. არც ის ვიცით, შეტევა საზოგადო იყო თუ მარტო ეპიზოდიური სახით, დამთავრდა ამ „მიმართულებით“ გვინდოდა ისიც გვცოდნოდა, დიარბექირის მხარე თუ ბითლის სერეტის მიმართულებაა მხედველობაში მიღებული? ან და ისიც შესაძლებელია, რომ მთელს ფრონტის შემოტევასთან გვქონდეს საქმე, ვინაიდან მთავარი შტაბის მოხსენება ყრუდ ხან ჰოროხის ხეობასაც ახსენებს, სხვა და სხვა დროს ბითლისისა, მუშისა და თვით ერზინჯანის მიმართულებასაც ახსენებს ხოლმე. თუ მართლა ყველა მხრით სწარმოებს შემოტევა, სჩანს, უბრალო დემონსტრაციებთან არა გვქონია საქმე, უკვე რეგულიარი ჯარები ჩამოსულან მოსაშველებლად. თუ მართალია ეს, მაშინ, თქმა არ უნდა, რუსთა მხედრობის გამარჯვებას თუნდა ამ „ერთ დივიზიასთან“ მეტი მნიშვნელობა მიეცემა. ყოველ შემთხვევაში თუ ასეთს ფართო მოვლენასთან არა გვაქვს საქმე, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არ დააყოვნებს თავის გამოჩენას, რადგან, როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ტრაპიზონის მიმართულებითაც გაჩაღებულა ბრძოლა, სახელდობრ მდ. ყარა-დურუსის მარცხენა ნაპირზე, ეს ტრაპიზონის აღმოსავლეთითაა და 25 ვერსის მანძილზე მომდინარეობს.

**ვერდენის გარშემო**

ახლოვდება ვერდენის ოპერაციის დასასრულიც. მართალია, პარიზიდან მოსული ოფიციალი ცნობანი დაწვრილებით არას ამბობენ, მაგრამ რაც არის, ისიც საგულისხმიეროა, გავიგეთ, მაგალითად, რომ მორტოჰმ-კიუმიერის ხაზი, მაასის დასავლეთით თითქმის კრიტიკულს მდგომარეობაშია. უკვე ფრანგები აღარ უარყოფენ, რომ მამაც პეტენის მეციხოვნე ჯარს დიდი ზარალი მოსვლია, მაგრამ მეციხოვნენი ოდნავაც არ იტეხენ გულს. სიმპტომატიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს კერძო დეპეშათა სააგენტოს ცნობა, რომელიც ვერდენის ოპერაციის განვითარებასთან არის დაკავშირებული. საფრანგეთში ფეხს იკიდებს ნაპოლეონის კულტი... პარიზში პანიკაა!“ ყველა ეს დამახასიათებელი ცნობები, რა თქმა უნდა, იმდენად სტრატეგიულ მნიშვნელობისას არას ამბობს,როგორც თვით ფრანგი ხალხის პსიხოლოგიას განმარტავს. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, თუ ფრანგი ხალხი როგორ გრძნობების ქარიშხალს მისდევს. ვთქვით ისიც, თუ მცირე გამარჯვება და დამარცხება როგორ მოქმედებს. უეჭველია, ამ ჟამადაც ეს პსიხოლოგიური მოვლენა მორტჰომის პირველ რიგის სანგრების დაკარგვას მოჰყვა. ფრანგი ხალხი ამ ამბავმა შეაფიქრიანა და ადრევე ხელი ჩაიქნია, ყიჟინი დასცა... სრულიადაც არა გვგონია, რომ გენერალისიმუსი ჟოფრი ამ ამბავს დიდს ყურადღებას მიაქცევს. არა, მის გარდაწყვეტილებას ვერა რა შეაცვლევინებს. მართალია, პოლიტიკამ და მასის მოთხოვნილებამ ვერდენის გარნიზონი გაადიდებინა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ყველა ეს მაქსიმუმი განწირვა და იძულებითი დათმობა უკანასკნელი იქნება და რეზერვებს მეტად აღარ შესწირავს იმ ციხის დაცვას, რამაც დღემდე სახელოვნად შეასრულა თვისი როლი და გერმანელთ მეტად ძვირად დაუსვა თვითეული ბურჯის აღება

X

## თბილისი, 5 აპრილი.

**უგოგირდობის შედეგები.** მევენახე საქართველო განსაცდელშია. ძარღვი ჩვენი მეურნეობისა, ვენახი, უწამლოდ რჩება. მას განადგურება მოელის და მრავალი მილიონი შემოსავალი ხალხს ეკარგება. კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, სამეგრელო თავს დაჰკანკალებს თავის საარსებო წყაროს. ყოველის მხრიდან თბილისს ჩამოდიან, გოგირდს დაეძებენ და უნაყოფო წოწიალის და ხარჯის შემდეგ უკანვე ბრუნდებიან სასოწარკვეთილნი. იღუპება მთელის სიცოცხლის ნაამაგარი, იღუპება არა ერთის წლით, არამედ სამუდამოდ. უწამლობით გაფუჭებული ვენახი უნდა აიკაფოს. ასეთ მდგომარეობაში ჩაცვივნულ მევენახეთ არსაიდან შველა არ მოელის. თავიდანვე სათანადო თადარიგი ვერ დავიჭირეთ და დღეს სახელდახელოთ არაფერი კეთდება. თითო-ოროლა გოგირდის მქონე პირი, თავის მდგომარეობით სარგებლობს და გოგირდს არაჩვეულებრივად აწეულ ფასებში ჰყიდის. არავითარი სისტემა არა სჩანს ისეთ გოგირდის განაწილებაში, რომელიც კერძო პირს აქ ჩამოუტანია მთავრობის დახმარებით. ჩვენ გავიგეთ, რომ ბ-ნ ფრიდონოვს, რომელმაც გოგირდი შემოზიდა შეღავათიან პირობებში მარტო ერთი ანანოვისათვის 600 ფუთი გოგირდი მიუყიდნია, ქუთაისის გუბერნიის მევენახეობა - მეურნეობის კომიტეტის ორდერით. სრულიად გაუგებარი და ყოვლად შეუწყნარებელი საქციელია. საინტერესოა ვიცოდეთ რა მოსაზრებით მისცა ქუთაისის კომიტეტმა ექვსასი ფუთი გოგირდის ორდერი ბატონ ანანოვს მაშინ, როდესაც მისთვის ორმოცდა ათი ფუთი გოგირდიც თავზედ საყრელი იქნებოდა?! თუ ჩვენი ცნობა სწორია, ბ-ნ ანანოვს სულ დიდი 15 დესეტინა ვენახი ექნება, რის საწამლავად მაქსიმუმზე მაქსიმუმი რომ ვიანგარიშოთ 50 ფუთიც არ არის საჭირო. ნუ თუ ქუთაისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტი მოვალე არ არის ანგარიში გაუწიოს გოგირდის უშოვნელობას და ორდერების გაცემის დროს ყოველი მეურნის ინტერესისთვის თანაბრად იზრუნოს?! განა შეიძლება კერძო პირს, რომელსაც უკანტროლოდ შეუძლია გოგირდზე ფასების დაწესება, ხელში ამდენი გოგირდი ჩაუყაროს?!

ამ ბატონმა ანანოვმა, რომელიც როგორც დიდი მესაკუთრე მევენახე, ჩვენი ქართველი წვრილი მეურნეების მოქიშპეა, რომელი უფლებით და მოსაზრებით მოჰხვია ხელი ამოდენა გოგირდს. ვინ გაუწევს კანტროლს თუ როგორ და რანაირად გამოიყენებს ზედმეტ გოგირდს?! ჩვენ ვიცით ისიც რომ ბატონი ფრიდონოვი თბილისში ჩამოტანით ფუთს გოგირდს ცხრა ანეთისა და ერთი აბაზის კვალობაზე ჰყიდდა. დღეს უკვე სრულიად ლეგალურად 15 მ. 90 კ. ჰყიდის. ხოლო განზე სხვა და სხვა პირები ფარულად ფუთ გოგირდს 40 მ.—50 მანეთადაც ჰყიდიან. შეიძლება გოგირდი საკმაოთაც მოიძებნებოდეს, მაგრამ პატრონები დროს უცდიდენ. ამასობაში კი ქართული მეურნეობის უმთავრესი დარგი სულ ერთიანად იღუპება. შველა არსაიდან სჩანს. როდემდის ასე?!

## AU GRAND HOMME

ბ-ნი **შინაური,** რომლის ათი წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე ამ ხუთიოდე წლის წინათ თბილისის ერთ უბნის პატარა შენობის დიდ ბინაზე გადაიხადეს და რომლის 15 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეს გადახდას ამ დღეებში აპირებენ უკვე დიდი შენობის პატარა ბინაზედ, ერთი იმ სამ ბურჯთაგანია, რომელზედაც დამყარებულია „სახალხო ფურცლის“ სიმტკიცე. ამ მოახლოებულ დიდ დღესასწაულის გამო საჭიროთ მივაჩნია მისი „დღიურიდან“ ამოვიღოთ საუკეთესო ადგილები და ჩვენი გაზეთის მკითხველებს მივაწოდოთ. ყოველი შეგნებული ქართველისათვის სასიამოვნო იქნება გონება-მდიდარ და გრძნობა-მაღალ ქართველის დანახვა, თუნდაც იგი ქართველი მოპირდაპირეთა ბანაკში იდგეს. პარტიობა ხელს არ უნდა გვიშლიდეს პიროვნების შუქმფენარობის ხილვაში. ბ-ნი **შინაურის** სახელის გარეკლამების უვერტურა მისი უკანასკნელი მე 181-ე „დღიურით“ უნდა დავიწყოთ. „დღიური“-ს თემაა, ნაციონალ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებ შორის ვითომდა მომხდარი ბლოკი ქუთაისის ერთ-ერთ არჩევნებზე. სოციალ-დემოკრატების დახასიათებისა და ფაქტის აღნიშვნის თავის თავის და თავისიანების შექების შემდეგ, რომ ისინი (ფედერალისტები) „საქართველოს ეროვნული განახლების პრინციპის მატარებელნი არიან“, ბ-ნი შინაური ჩვენ გვეხება და აზრისა და ლექსიკონის შემდეგ მარგალიტებს განაბნევს:

რა პოლიტიკური აზრი შეიძლება იყოს ამნაირ კავშირში ნაციონალ-დემოკრატების მხრით? ეს პოლიტიკური აზრი კი არა, **სრული პოლიტიკური სიკოტრეა...** (ხაზი ჩვენია).

ნაციონალ-დემოკრატების მიზნების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც მათს საქციელში არავითარი აზროვნება [illegible] ნაციონალ-დემოკრატების [illegible], მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როდესაც ვიტყვით, რომ ისინი ნაციონალისტები კი არა, **გადაგვარებული ელემენტები არიან,** რომლებიც მხოლოდ ეხვევიან ნაციონალისტების ქურქში. ეს ნამდვილადაც ასეა. სინამდვილემ მალე დაგვიმტკიცა, რომ ჩვენებური ნაციონალ-დემოკრატები პოლიტიკურად მოაზროვნე ხალხი კი არ არის, არამედ **შემთხვევითი ხროვა,** რომელიც რაღაც სრულიად არა პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული უკმაყოფილებით საზრდოობს.

ვინც ჩვენს სინამდვილეს იცნობს, ეცოდინება ისიც, თუ სადა მარხია ძაღლის თავი. ეს ის **ხროვაა,** რომელსაც ჰსურს საზოგადოებრივ დაწესებულებებს დაეპატრონოს და განამტკიცოს გავლენა იქ, სადაც დღემდის ყოველივე გავლენას იყო მოკლებული. ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ჩვენებური ნაციონალ-დემოკრატები მოკლებულნი არიან ყოველივე პოლიტიკურ აღზრდას და სინამდვილემ მალე გაამართლა ჩვენი მოსაზრება.

სიჭაბუკის ხანაში ბ-ნი შინაური ამაზედ ძლიერ გონიერებას იჩენდა. იგი უფრო მშვენიერის აზრებით და ფაქიზ-სიტყვა-კაზმულობით ესაუბრებოდა მშობელ ქვეყანას და ზრდილათ თაობებს. მადლიერი სამშობლო ვალდებულია სამაგიეროს მიუძღოს იშვიათ „პიიტიკოსს“ და მხცოვან მოაზროვნეს. უნდა მხნედ ვიმოქმედოთ და ბ-ნი შინაურის სახელი მოვსდოთ მთელ საქართველოს. საზეიმო იუბილეს 15 წლის მოღვაწეობის თავზე, მერე უკავია აკადემიის ერთი სავარძელი, მერე განსვენება დიდებულ შვილთა სავანეში, რომელიც თავდახრით, მოწიწებით სამშობლოს სალ გულის ნადებს მოკლედ ეტყვის: Au grand homme,—la patrie reconnaissante.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ოზურგეთი.** დიდძალი ხალხისა და ინტელიგენციის თანადასწრებით დიდის ზეიმით გაიხსნა სამეურნეო საზოგადოება. აუარებელი მისალოცი დეპეშები მიიღეს. თანამდებობის პირნი აირჩიეს. დაადგინეს, შუამდგომლობა აღძრან სოფლის მეურნეთა ყრილობის მოწვევაზე. დაადგინეს აგრეთვე მეფის მოადგილეს წინაშე იშუამდგომლონ, რათა საეროზო თათბირზე ამ საზოგადოების წარმომადგენელიც დაესწროს. წარმომადგენლად აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი.

მუმლაძე.

# კახეთის კავშირი

კახეთის წვრილი-კრედიტის კავშირს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებაში, რომ აუცილებლივ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს საკითხი სათანადოთ გადაჭრილი იქმნას. როგორც ვიცით, კავშირის წევრთა შო-

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქარ.“ № 73)

აქედან ცხადია: თუმცა საერთო რიცხვი პლატანციებისა 1904 წლიდან 1907 წლამდე კლებულობს მთელი 8,07%-ბით, მაგრამ პლანტაციების საერთო რიცხვი კი არამც თუ არ კლებულობს, პირიქით კიდეც მატულობს ცოტათი 1,5%-ით. დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მრეწველობითი ხასიათი წარმოებისა სულ ნთქავს წვრილ საოჯახო პლანტაციებს; ეგ უკანასკნელნი სრულებით იკარგებიან უკანასკნელ წლებში. რასაკვირველია მთელი ეს წარმოება მარტო ჩვენი ხალხის ხელში არ არის სამწუხაროთ, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ მცხოვრებთა მეურნეობაში ¹)

¹) 1) წვრილი მწარმოებელნი ძალიან მრავლად არიან ქართველნი; 2) მიწის მესაკუთრენი, რომელთაგან უცხოელნი იჯარით ღებულობენ საპლანტაციო მამულს, ისევ ადგილობრივი ელემენტია, რომელიც ამგვარათ სარგებლობს ამ წარმოებით, 3) მუშები, რომელნიც ასრულებენ წარმოების საყურადღებო ნაწილს, უმეტეს ნაწილათ ისევ ქართველებია. 4) დიდი წარმოების განვითარება ამა თუ იმ კუთხეში ყოველთვის მოქმედებს წამაქეზებლად, აღმზდელობით, გამომაფხიზლებლათ მასაზე.

**ბათუმის ოლქი**

| წლები | | პლანტაციების საერთო რიცხვი | პლანტაც. საერთო სივრცე დეს. | საერთო მოსავალი თამბაქ. ფუთ. |
|---|---|---|---|---|
| 1904 | სამრეწვ. | 3.456 | 522 | 25.745 |
| | საოჯახო | 279 | 3,8 | 170 |
| 1905 | სამრეწვ. | 3.770 | 549 | 26.719 |
| | საოჯახო | 205 | 2,9 | 117 |
| 1906 | სამრეწვ. | 2.978 | 449 | 22.416 |
| | საოჯახო | 144 | 1,7 | 70 |
| 1907 | სამრეწვ. | 2.950 | 425 | 24.364 |
| | საოჯახო | | | |

აქ ციფრები რომ შევადაროთ პირველისა და ბოლო წლისა აღმოჩნდება, რომ სამრეწველო პლანტაციების რიცხვი 1904—1907 წლამდე შემცირებულა 17,58%-ით, მათ საერთო სივრცეს მოუკლია 18,58%-ით, მოსავლიანობას კი 5,35%-ით. კიდევ უფრო მეტი დაქვეითება აღმოჩნდება თუ რომ 1907 წელს შევადარებთ 1903 წ. სამრეწველო პლანტაციების რიცხვი შემცირებულა 30,06%-ით, მათ სივრცეს მოუკლია 34,18%. თამბაქოს მოსავალი კი შემცირებულა 32,25%.

რაიცა შეეხება საოჯახო პლანტაციების მნიშვნელობის დაქვეითებას, ეს უკანასკნელი ისეთი მკითხველისათვისაც კი ცხადია, რომელიც სრულებით არ იქნება დახელოვნებული ციფრების კითხვაში.

**ქუთაისის გუბერნიის სამრეწველო პლანტაციები:**

| წლები | პლანტაციების საერთო რიცხვი | პლანტაციების საერთო სივრცე დესეტინ. | თამბაქოს საერთო მოსავალი ფუთობით |
|---|---|---|---|
| 1904 | 1.289 | 238,5 | 9.696 |
| 1905 | 833 | 162,1 | 5.368 |
| 1906 | 550 | 86,4 | 4.019 |
| 1907 | 723 | 151,7 | 5.996 |

წარმოება ძალზე შემცირებულა 1906 წ., როდესაც 1904 წ. შედარებით სამრეწველო პლანტაციების რიცხვს უკლია 57,33%-ით, მათი საერთო სივრცე კი შემცირებულა 59,37%-ით, მოსავლიანობა კი დაცემულა 58,54%-ით. მხოლოდ 1907 წ. ისევ იდგამს ცოტათი ფეხს დაცემული წარმოება, როდესაც პლანტაციების რიცხვი 1906 წ. შედარებით 31,45%-ით იზრდება, რომლის საერთო სივრცე 76,74%-ით მატულობს, რომლის მოსავლიანობა 49,19%-ით მეტია, ვიდრე აგეთი 1906 წ. რაც შეეხება საოჯახო პლანტაციებს ისინიც განიცდიან ანალოგიურ დაქვეითებას, რაც რასაკვირველია აიხსნება, არა მარტო სამრეწველო პლანტაციების ჯიბრობით, არამედ საერთო სოციალური მოვლენებითაც.

**საოჯახო პლანტაციები ქუთაისის გუბერნიაში:**

| წლები | პლანტაციების რიცხ. | პლანტაციების საერთო სივრცე დესეტ. | საერთო მოსავალი ფუთობით |
|---|---|---|---|
| 1904 | 7.775 | 32,7 | 1.904 |
| 1905 | 5.283 | 20,7 | 1.256 |
| 1906 | 4.254 | 22,2 | 1.359 |
| 1907 | 3.429 | 18,1 | 1.061 |

საინტერესოა გავითვალისწინოთ თუ რა როლს თამაშობს ჩვენი სამშობლოს ჯერ დასავლეთი ნაწილი და შემდეგ აღმოსავლეთი ნაწილიც მთელს ამიერ-კავკასიის თამბაქოს წარმოებაში.

| | თამბაქოს წარმოება ამიერ-კავკასიაში. 1904 წ. | 1905 წ. | 1906 წ. | 1907 წ. | თამბაქოს წარმოება დასავლეთ საქართველოში. 1904 წ. | 1905 წ. | 1906 წ. | 1907 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამრეწველო პლანტაციების რიცხვი | 13,509 | 14,124 | 10,575 | 10,899 | 8,733 | 9,391 | 7,206 | 8,240 |
| სამრეწველო პლანტაციების სივრცე დესეტ. | 6,526 | 7,825 | 4,705 | 5,702 | 5.058,77 | 6.008,3 | 3,722 | 4.945,2 |
| მოსავლის რაოდენობა ფუთობით | 374,841 | 462,214 | 268,137 | 322,757 | 276,624 | 317,899 | 309,638 | 270,420 |

პროცენტუალური რაოდენობა წარმოებისა დასავლეთ საქართველოში ამიერ კავკასიის რაოდენობასთან შედარებით გამოიხატება შემდეგ ციფრებში.

| | 1904 წ. | 1995 წ. | 1906 წ. | 1907 წ. |
|---|---|---|---|---|
| სამრეწველო პლანტაციების რიცხვისა | 64,64% | 66,48% | 68,14% | 75,60% |
| მათი სივრცისა | 77,52% | 76,77% | 79,11% | 86,72% |
| მოსავლის რაოდენობისა | 73,79% | 68,77% | 78,18% | 83,78% |

ეს ციფრები ცხად ჰყოფენ თუ რა როლს თამაშობს დასავლეთი საქართველო მთელი ამიერ-კავკასიის თამბაქოს წარმოებაში. 1904—1905 წ. სამრეწველო პლანტაციების სივრცე და მოსავლის რაოდენობა კიდეც შემცირდა ერთი 0,75% და მეორე 5,02%-ით მაგრამ შემდეგ წლებში 1906—1907 [illegible] აიწია ამ დარგში.

(შემდეგი იქნება)

ტიტე მარგველაშვილი.

რის შინაურმა უთანხმოებამ ბევრად შეუშალა ხელი, რომ კავშირს თავის დროზედ დაეწყო მოქმედება. კარგა ხნის ყოყმანების შემდეგ, როგორც იყო, თბილისის გუბერნიის მართველობამ არჩევნები დაამტკიცა და განსახილველად გადასცა ცენტრალ სასამართლოს პეტროგრადში. მას აქეთ ჩვენი რედაქცია ამ საქმის მსვლელობას და ბედ-იღბალს თვალყურს ადევნებს განუწყვეტლივ და შეძლების ფარგალში ზრუნავს მის კეთილად დაგვირგვინებისთვის. მან დაავალა თავის წარმომადგენლებს პეტროგრადში და სთხოვა კერძო პირებსაც კახეთის წვრილი კრედიტის კავშირის დამტკიცების საქმე დაეჩქარებინათ. ბ-ნი დ. ჰიაბრიშვილი დრო გამოშვებით დეპეშებით გვატყობინებდა კავშირის ვითარებას. მკითხველი ქვემოდ წაიკითხავს ბ. ჰიაბრიშვილის უკანასკნელ დეპეშას. იმედია, კახეთის კავშირის მოღვაწენი შეეცდებიან რომ ცენტრალ სამმართველოს თბილისიდან დროზედ მიაწოდონ საჭირო მასალები.

**კახეთის კავშირის საქმე შეფერხებულია რადგანაც სამმართველოდან დეპეშით შეკითხვაზე პასუხი დააგვიანეს. ნამდვილი ცნობებით ვიცი, რომ ეს საქმე სასურველად დაბოლოვდება ამ დღესასწაულამდე ან ნაადდგომევს.**

**დ. ჰიაბრიშვილი.**

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**მაასის დასავლეთით, მორტჰომის მიდამოებში სროლაა. აღმოსავლეთით ზარბაზნების სროლაა ბრძოლის მეორე ხაზზე.**

—

**ვევრში ქარიშხლისებური ქუხილია ზარბაზნებისა.**

—

**„ბირჟ. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: „გერმანელები არამც თუ ხელს არ იღებენ შეტევაზე, რომელიც დიდს მსხვერპლს იწირავს, არამედ უფრო მეტის სიმედგრით ანხორციელებენ თავისს გეგმას და მაასის დასავლეთ ნაპირებზე წინ მიიწევენ.**

—

**„ბირჟ. ვედ.“-ს ატყობინებენ: ვილნო-მინსკის მიდამოებში, გამოდარების შემდეგ, გერმანელებმა ჰაერში ბრძოლა გააზშირეს.**

—

**გაზეთების სიტყვით, გერმანელებს ვერდენთან ორმოცი ვერსის მანძილზე ორიათას ხუთასი ზარბაზანი დაუდგამთ, ხოლო ვერდენზე მისასვლელად 500 ათასი მეომარი დაურაზმავთ.**

—

**დიდად სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ აარსებენ ბათომ-ლაზისტანის ეპარქიას.**

—

**თედო სახოკია თბილისისაკენ გამოემგზავრა.**

—

**მდინარე დვინა ყინულისაგან სრულებით გაიწმინდა, მიუხედავათ ამისა მთელ ბრძოლის ველის მიდამოებში მიმოსვლა ჯერ-ჯერობით მაინც ყოვლად შეუძლებელია, რადგან გზები ჯერ ისევე საშინლად ატალახებულია; ამის გამო ბრძოლა მხოლოდ ფრონტის წვერებზედ სწარმოებს.**

—

**დასავლეთით დვინის მიდამოებში გერმანელები ზარბაზნებს ქალაქ ისკიულის სიმაგრეებს უშენენ.**

—

**„ბირჟევია ვედომოსტი“-ს ომის მიმომხილველი სწერს: ისკიულთან სამხედრო მოქმედება უფრო გაძლიერდა შედარებით სხვა მიდამოებთან იმიტომ, რომ აქ წყალდიდობამ ისე არ გააფუჭა გზები და მიმოსვლა ისე ძნელი არ არის. მიმომხილველის აზრით, ისკიულს სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვს.**

—

**„ბირჟევია ვედომოსტ“-ს ქ. მინსკიდან ატყობინებენ: პინსკის ჭაობებში სულ ერთიანად დაინგრა გერმანელებისაგან აგებული სიმაგრეები და მხოლოდ რამოდენიმე პოზიცია გადარჩა.**

—

**ფრანგული მონარქისტების გაზეთი „Gaulois“ იტყობინება: გერმანელები მთელ ზამთარს გაფაციცებით ემზადებოდნენ, რომ გაზაფხულზე შეტევა დაეწყოთ რიგა-დვინსკის ასპარეზზე. მაგრამ რუსების ნაადრევმა შეტევამ გერმანელებს ეს გეგმა სრულებით ჩაუშალა.**

—

**„ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ: ავსტრიელებს გადაწყვეტილი აქვთ, ალბანეთში გაგზავნონ 50 ათასი ჯარისკაცი. როდესაც ჯარის თავმოყრას დაასრულებენ, ავსტრიელები ვალონაზე შეტევას განაახლებენ.**

**ლ. ჯ.**

—

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).**

ვერდენის ასპარეზზე მაასიდან დასავლეთით, ენის მიდამოებში, გერმანელებმა ზარბაზნის მედგარი სროლა დაიწყეს.

—

მაასის ორთავ მხარეზე სარტილერიო ბრძოლაა.

—

რუსეთის ასპარეზზე სმორგონის ჩრდილოეთით მტერი ამოქმედდა.

—

კავკასიის ასპარეზზე რუსები შავი ზღვის ნაპირებს ხმელეთიდან და ზღვიდან ზარბაზნებს უშენენ.

—

რადოსლავოვის და გენადიევის შეთანხმება მოხდა, რის შემდეგაც უკანასკნელი გაანთავისუფლეს.

—

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: შეერთებული შტატები ახლო მომავალში ულტიმატუმს წარუდგენს გერმანეთს წყალქვეშა ომის შესახებ.

—

გევგელ დოირანის ხაზით ზარბაზნებით ბრძოლაა.

—

გერმანეთის გემი „ისპანია“ ნაღმს დაეჯახა და ჩაიძირა.

# ახალი ამბავი

✦ **ხელმწიფე იმპერატორმა** კეთილ ინება და უფლება აყრილ შტაბ-კაპიტანს ვ. ხარაძეს სასამართლოს განაჩენით დაკარგული უფლებანი აღუდგინა და ნება დართო მეფის ნაცვლის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სურვილის თანახმად ჯარისკაცად შესვლისა.

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს დუხობორთა დეპუტაცია წარუდგა ს. გორელოვკიდან, (ახალქალაქის მაზრა) და 2000 მანეთი გადასცა საომარი საჭიროებისათვის.

— მეფის ნაცვლის მეუღლის დიდი მთავრის ნიკოლოზის ასულს ანასტასიას წარუდგა დეპუტაცია ს. ვორონცოვკის, (ბორჩალოს მაზრა) მალაკანთა და მეომარ ჯარისკაცთათვის 980 მან. ფულად და 250 პარკი საჩუქარი გადასცა.

✦ **ირ. ევდოშვილის მდგომარეობა.** როგორც სოხუმიდან ცნობა მოვიდა, მგოსანი ირ. ევდოშვილი ძალიან სუსტად ყოფილა.

✦ **ქუთაისის თავად-აზნაურობის** გუბერნიის წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე თბილისში ჩამოვიდა.

✦ **საბირჟო კომიტეტის** სხდომაზე 3 აპრილს, საერობო თათბირში საბირჟო კომიტეტის მხრივ წარმომადგენლად აირჩიეს მ. ი. ბერბერიანი. ამავე კრებაზე რწმუნებულად საბირჟო კომიტეტების წევრთა ყრილობისთვის, რომელიც 24 აპრილს პეტროგრადში მოხდება, აირჩიეს თ-დი ვლ. ს. მიქელაძე და ბ. კალანთაროვი.

✦ **უფასო სასადილოთა და სახაიეთა საზოგადოების საზოგადო** კრება კვირას 3 აპრილს მოხდა. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა გასულ წლის ანგარიში, რომელიც 13.772 მ. 72 კ. უდრის. დასასრულ ახალი პრეზიდიუმი აირჩიეს.

✦ **ფრიდონოვის გოგირდი.** ქუთაისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის ორდერით ანანოვს 600 ფუთი გოგირდი უყიდნია ფრიდონოვისაგან.

✦ **დიდუბის ეკლესიაში** ქართული გუნდი ხელ ახლად შესდგა და გალობა დაიწყო. გუნდის ლოტბარად ისევ მთავარი კ. ჩუტკერაშვილია მიწვეული.

✦ **გრ. რობაქიძის ლექცია.** ოთხშაბათს, 6 აპრილს, ქუთაისში თეატრის დარბაზში საღამოთი გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას: ალმანახი „ცისფერი ყანწები“. ლექცია შესდგება ორის განყოფილებისაგან: 1) ფუტურიზმისა და ეროტიზმის შესახებ; 2) მისტიციზმისა და სიმბოლიზმის შესახებ.

✦ **გორის ქალაქის თავი** შუამდგომლობს თბ. გუბერნატორის წინაშე, რათა ურმებსა და სხვა გვარ ეტლებზე რომლითაც შემოაქვთ ქალაქში სხვა და სხვა დარგი საქონლისა დაწესდეს გადასახადი თითო შაური თითო ეტლზე.

✦ **კრების გადადება.** ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების წრის კრება 3 აპრილს არ შესდგა, წევრთა სიმცირის გამო და კრება სხვა დროისათვის გადაიდვა.

✦ **უდროვო ბეგარა.** მცხეთის გლეხობა ჰოპორტის გზის საკეთებლად გაიყვანეს. მინდვრები დაუთესავი რჩება. ეხლა ხალხის ბეგარაზე გაყვანა ნამეტანი უდროვოა. მინდვრების დათესვა მაინც დაგვიანებული იყო, საქონლის ჭირის გამო; ეხლა საქონელი ცოტათი მომჯობინდა და შესაძლებელი იყო რამდენიმე მინდვრის მოხვნა, მაგრამ ხალხი ბეგარაზე გარეკეს და ამ რიგად მინდვრები სავსებით დაუმუშავებელი რჩება. გარდა ამისა ორშაბათობით ხალხი ჯარისკაცთა ოჯახებს შველის მუშაობით, მაგრამ ეხლა ესენიც უმწეოდ დარჩნენ.

✦ **ა. ი. ხატისოვის ლექცია.** შაბათს, 2 აპრილს საზოგადო კლუბში ალ. ი. ხატისოვმა წაიკითხა ლექცია, რომელიც მან მოსკოვის ქალაქთა კავშირის ყრილობაზე მოხსენებად წაიკითხა.

✦ **ახალი კლუბის** საზაფხულო ბაღისა და ფარდულების შეკეთებას შეუდგნენ.

✦ **სახალხო კითხვები.** თბილისის პირველდაწყებითი მასწავლებელთა კრებამ, რომელიც შესდგა 3 აპრილს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახალხო კითხვების და ბიბლიოთეკების მომწყობ სექციის თაოსნობით, დაადგინა, სახალხო კითხვების სისტემატიურად მოწყობის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასწავლებლებმა.

✦ **ახალი წევრები.** ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირში წევრებად შევიდნენ: 1) ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება, 2) ქართული გიმნაზიის უსასყიდლო სადილო, 3) ლანჩხუთის დრამატიული საზოგადო, 4) ხონის ქალთა საზოგადოება, 5) ქუთაისის საზოგადოება „სინათლე“ და 6) ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება. ამ ჟამად კავშირში სულ 16 სხვა და სხვა საზოგადოება შედის წევრებად.

✦ **სიონის გალავნის** გაფართოვებისა და გამშვენების საქმეს შესწირეს: ძმ. ძეველიშვილებმა 500 მან., ძმ. არჯევანიძეებმა 40 მან. და ნატარიუსმა კერაკაშმა 100 მანეთიანი სახელმწიფო რენტა.

✦ **შემოტანილ სურსათის რაოდენობა** 1-ლ მარტიდან 1-ლ აპრილამდე უდრის ფქვილი 766.585 ფ. ხორბალი 42.071 ფ. სიმინდი 24.458 ფ. თავი შაქარი 88.013 ფ. ფხვნილი შაქარი 1.986 ფ. ბრინჯი 5.580 ფ. მარილი 20.747 ფ. კარტოფილი 21.755 ფუთი. ქერი 96.832 ფ. შეშა 979.231 ფ. ნავთი 54.214 ფ. მაზუთი 176.606 ფ. სხვა და სხვა სანოვაგე 30.085 ფ. ძლიერ მცირე რიცხვი შემოუტანიათ ერბო, კომბოსტო და ქერი.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 4 აპრილს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 1, ქუნთრუშიანი 136, ხუნაგიანი 12, სახადიანი 108, მუცელათი ავადმყოფი 1, გამოურკვეველი სენით 3 და მენინგიტიანი 2 კაცი.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 2 აპრილს ფქვილი 6 ვაგ., შეშა 15 ვაგ., ყველი 30 ფუთი, ხახვი 47 ფუთი, კარტოფილი 26 ფუთი და კარაქი 8 ფუთი.

✦ **პანაშვიდი.** 3 აპრილს, საღამოს, განსვენებულ თავ. ვ. ნ არღუთინსკის პანაშვიდს დაესწრნენ: თბილისის გუბერნატორი გოფმეისტერი მანდრიკა, ქართველ თავად-აზნაურთა მარშალი თავ. კ. ნ. აბხაზი, ერევნის გუბერნატორად ნამყოფი გრაფი ტიზენჰაუზენი, ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრები და სხ.

✦ **„პორტიუგალ“-ზე** გადარჩენილ 25 კაცმა, ფრანგ მეზღვაურებმა, თბილისზე გაიარეს. სადგურზე მათ შეხვდათ ფრანგთა კონსული აბელ ბურჟერონი და ფრანგთა ჟურნალისტი ბ. ბარბი და სხვა საპატიო პირნი, რომელთაც ცოცხალი ყვავილები და საჩუქრები მიართვეს მეზღვაურებს.

✦ **გაფიცვა.** თბილისის ზოგიერთ კლუბებისა და დიდ სასტუმროების სამზარეულოების მოსამსახურეებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს საქმის პატრონებს და კმაყოფილება რომ ვერ მიიღეს, გაიფიცნენ. მოთხოვნილებათა ზოგიერთი ადგილები შეუსაბამოდ უცვნია პოლიციას და 3 აპრილს დაუტუსაღებია „ახალი კლუბი“-სა, კრუჟოკის“ და სასტუმრო „კავკაზის“ უფროსი მზარეულები,

✦ **საგლეხო საქმეთა** თბ. საგუბერნიო გამგეობამ ახალ-ციხის მაზრა ახლად დაჰყო შემდეგ საგლეხო სამოსამართლო ნაწილებათ: პირველ ნაწილში, თანახმად ამ დაყოფისა შევიდნენ შემდეგი სოფლის საზოგადოებანი: ადიგენისა, ვარხანისა და უდინისა; მეორე ნაწილში—აწყურისა, იდუმალისა და კლდისა, ხოლო მესამე ნაწილში—ვალინისა, ურაველისა და ლეპისასი.

✦ **სოფლის მეურნეთა საყურადღებოდ.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ბარიათინსკის 5) ამ ჟამად საწველ ძროხებს 1 თვის ხბოებით სცვლიან საკლავ საქონელზე იმავე წონისა. ეს საზოგადოება სთხოვს სოფლის მეურნეთ ვისაც ჰყავს საკლავი საქონელი მიმართოს ამ საზოგადოებას და გაუცვალოს მეწველ ძროხებზე.

✦ **დამფუძნებელთა კრება.** 3 აპრილს კრება ჰქონდათ ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირის დამფუძნებელთა—გ. ნ. ყაზბეგს, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს და ე. ს. თაყაიშვილს. კრებამ შეიმუშავა წეს-რიგი საზოგადო კრებისა, რომელიც შესდგება კავშირის წევრთაგან 12 აპრილს: 1) კრების გახსნა დღის 12 საათზე, 2) არჩევა კრების თავჯდომარისა, 3) 14 იანვრის საზოგადო კრების ოქმის წაკითხვა, 4) მოხსენება ახალ წევრთა მიღების შესახებ, 5) რწმუნებათა ქაღალდების შემოწმება, 6) კავშირის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვა და 7) არჩევნები გამგეობის 7 წევრისა და 3 კანდიდატისა. გარდა ამისა კრებამ დაადგინა, რომ ყველა დაწესებულებამ, რომელთაც დადგენილება აქვთ გამოტანილი კავშირში წევრებად ჩაწერის შესახებ, ამ დადგენილების ოქმის ასლი და აგრეთვე თავიანთ წარმომადგენლების ვინაობა უთუოდ 8 აპრილამდე უნდა გამოგზავნონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში.

საზოგადო კრება შესდგება „ახალი კლუბი“-ს დარბაზში.

—

### შეცდომის გასწორება

კვირის ნომერში ბ-ნ ს. კედიას წერილის აზრი სრულიად დამახინჯებულია წინადადებების არევ-დარევით:

**დაბეჭდილია:**

დანარჩენ დროში პოლიტიკური უფლება ამ მილიონი როლისა სწორედ რომ შეიძლება, ორასში ერთხელ იშვიათი და არა ნოლმალური მოვლენა იყოს და დაწესებულ ვადას ან აქედ გადმოსცდეს ან იქით გადმოსცდეს პოლიტიკურ მოედანზე კენჭით გადმოსვლა.

**უნდა იყოს:**

შეიძლება ათასში ერთხელ იშვიათი და არა-ნორმალური მოვლენა იყოს და დაწესებულ ვადას ან აქეთ გადმოცდეს, ან იქით პოლიტიკურ მოედანზე კენჭის გამოსვლა.

**დაბეჭდილია:** ამგვარად, პოლიტიკით სცხოვრობს, პოლიტიკას აკეთებს მხოლოდ მიკროსკოპიული გუნდი მიკროსკოპიულ კრებულში, **უნდა იყოს:** მიკროსკოპიული გუნდი მაკროსკოპიულ კრებულში.

**დაბეჭდილია** მთელი ერთ, დიდიან პატარიანა, კანონმდებელია, ჯარისა, მოხელეთა და ზოგი სხვათა გამოკლებით, ნივთიერ შემოქმედშია, **უნდა იყოს:** კანონმდებელთა და სხვათა.

იმავე ნომრის მეთაურში **დაბეჭდილია:** დღეს ხალხი მწარედ განცდილი პირველი ილვიძებს და თვისი სალი ალღოს მეოხებით ეკონომიურ საქმიანობას მეურნეობას იწყებს, იმისთვის ეწყობა და იზრდება.

**უნდა იყოს:** რაზმდება.

**დაბეჭდილია:** გასული და მიმდინარე წლები განსაკუთრებით მდიდარია სანუგეშო **მოცლილებით.**

**უნდა იყოს: მაგალითებით და სხ.**

# კახეთის კოოპერატივების საყურადღებოდ

რამდენადაც ახლოვდება შაბიამან-გოგირდის სეზონი იმდენად მწვავდება შარშანდელი იარა ჩვენი მევენახეებისა. მართალია გაზეთები თან და თან ხშირად იძლევიან ცნობებს მეტწილად არა საიმედოს, მაგრამ ის კოოპერატივები, რომელთაც მეღვინეობის და მეყურძნეობის კომიტეტს შეაფარეს თავი, დიდის იმედებით ვიყავით აღჭურვილნი. ვფიქრობდით, თუნდაც მთლად გამოილიოს შაბიამანი, კომიტეტი მაინც სადმე გვიშოვნის რადგანაც ეს არის მისი პირდაპირი მიზანი და აგვაცდენს ამ გასაჭირსო. ბოლოს და ბოლოს კი სხვა ნაირად ტრიალდება საქმე. კარგა ხანია თითონ მე პირადათ ეჭვი შემეპარა, რომ კომიტეტიდან არავითარი საზოგადო ცნობა არ ჩანდა. თებერვალში, რომ ჩემი ეჭვები გამექარწყლებინა და საქმის ნამდვილი ვითარება დარწმუნებით შემეტყო, კომიტეტს ფორმალურათ შევკითხე, გადაჭრით შეეტყობინებინა იძლეოდა დაპირებულ შაბიამანს თუ არა. სხვათა შორის მეტი არ იქნება თვით ის დაპირება გავაცნო მკითხველს. აი უცვლელად მისი მოწერილი ღვინობისთვის 12-ში. 1915 წელს: „გაცნობებთ, რომ კომიტეტი შემდეგი პირობით შეეკრა ფრიდონოვის ფირმას: ფრიდონოვის ფირმამ უნდა მისცეს შაბიამანი და გოგირდი მარტო იმ კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელსაც თვითონ კომიტეტი უჩვენებს. რომ არ დარჩეს თქვენი ამხანაგობა სიის გარეშე, თუ დაგჭირდებათ შაბიამანი და გოგირდი მოიწერეთ რამდენი“.

ამ ნაირი წინადადების მიღებისთანავე, შეუკვეთეთ ჩვენთვის საჭირო გოგირდი. დღევანდლამდის იმედი გვქონდა. პირველ მიწერილობაზედ პასუხი არ მიგვილია. მეორეთ შევეკითხე და მაინც დღესაც სდუმან. ვცადე ქართულ სამეურნეო საზოგადოების დახმარებით შემეტყო კომიტეტის აზრი. არც ამ საზოგადოებამ გამცა პასუხი ჩემს თხოვნაზედ. რომ ველარა გავაწყე რა მაშინ თვითონ ფრიდონოვის კანტორას შევეკითხე და აი ასეთი გადაჭრილი უარი მომივიდა: „М. Г. въ отвѣтъ на почт. письмо Ваше отъ 25 с./м. за № 17, сообщаю, что Вашего заказа я не имѣю, мѣдный купоросъ и сѣру ожидаю къ концу мая. Пока заказовъ принять не могу“.

როგორ მოგწონს მკითხველო?! ფშავლის ამხანაგობის ოთხი სოფელი ეხლა უნდა შეუდგეს შაბიამნის ძებნას! დაიმედებულნი რომ შაბიამანს მივიღებდით, სხვაგანაც აღარ შევეცდილვართ. და ბ. ლეოს წერილმა „საქართველოს“ № 53 თითქმის ბოლო მოუღო ჩვენს იმედებს.

როგორც სჩანს, კომიტეტის და ფრიდონოვის კინკლაობის წყალობით შარშანდელს დაჩიავებულ გლეხს წელს სამარეს უთხრიან. მე მგონი რომ ჩვენ ხელშია საკმაოთ საპატიო საბუთი, რითაც შეგვიძლიან მოვითხოვოთ თავისი შეცდომა კომიტეტმა თითონვე დაუყონებლივ გამოასწოროს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მივმართოთ უმაღლეს მთავრობას, რომ ყურადღება მოგვაქციოს. ვთხოვთ იმ კოოპერატივებს, რომლებიც ჩვენს ტაფაში მოათავსეს ამ გაზეთშივე გამოაქვეყნონ სახელები.

**ევგ. დალაქიშვილი.**

# წლიური კრება

**ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების წევრთა.**

**1 აპრილი**

კრება გაიხსნა ვ. გ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა 1915 წლის ანგარიში. საზოგადოებას შემოსვლია საანგარიშო წლის განმავლობაში 18.000 მანეთამდე და დახარჯულა 17,000 მანეთამდე. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას ჰქონდა: მოწყობილობა საზოგადოებისა 5.500 მანეთისა, ნაღდი ფული 1.600 მან., სარგებლიანი ქაღალდები 1.000 მანეთისა, რომელთაგან 600 მანეთის ქაღალდები შემოუწირავს ეპისკოპოზს კირიონს, რომელიც კრებამ ერთხმად აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად.

ბოლოს მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად ისევ დარჩნენ გ. თუღაშვილი, ზ. ფალიაშვილი, მღ. ი. ჯიჯავაძე და ი. ბარათაშვილი. ახლად აირჩიეს გამგეობაში: ს. ტარუაშვილი, ა. ნეიმანი და პ. ფალიაშვილი. გამგეობის კანდიდატებად—არ. ჯაჯანაშვილი, და დ. მამალაძე. სარევიზიო კომისიაში ისევ ძველები დარჩნენ. ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირში საზოგადოების წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ: არ. ჯაჯანაშვილი, დ. ჯორჯაძე და გ. თულაშვილი.

# სოფლად

(გაგრძელება)

როდესაც საერთოდ სოფლეურად იძენდნენ მოახალშენენი მამულს, ახალშენების ამხანაგობანიც დიდს ფულს იმეტებდნენ მამულისთვის, კერძოდ მოახალშენეთა პირებიც კი უკან არ რჩებოდნენ და, სადაც კი გასაყიდი მამული გამოჩნდებოდა, ყოველ შემთხვევაში ხელიდან არ გაუშვებდნენ.

ავსტრო-გერმანელების მოახალშენეთა პირებმა სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირებისაგან შეიძინეს:

გოტლიბ შპეიზერმა და ალმედინგერმა იყიდეს „ურწაშენში“ ეფემია შანშიევისაგან 1896 წელს 39 დეს.—6,000 მან. და ბანკის ვალიც მიიღეს 1,200 მან.

1898 წელს ამათვე იყიდეს ისრაფილ-ბეგ-აჯალოვისაგან 17 დეს. ვენახი—7,500 მან. და მამედ-ჰაჯი-ბეგ-ოღლისაგან 64 ვენახი 16,000 მან.

1907 წელს იკანე შანშიევისაგან ამათვე [illegible] 36 დეს. 7,830 მან. და [illegible] 2,700 მან.

1903 წელს იოსებ შანშიევისაგან შეიძინეს ვენახი და სახნავი სოფ. კაპანახჩში 6 დეს. 7,000 მან.

ამისვანვე იყიდეს 13 დეს. „ურწაშენში“ ხილის ბაღი და ვენახისა—2,430 მან.

გრიგოლ შანშიევისაგან შეიძინეს „ხატის სოფელში“ 11 დეს. ხილის ბაღი 4 დეს. ვენახი 8,000 მანეთად.

1905 წელს იმანუილ ალმედინგერმა შეიძინა სოფ. „ტაშიკლიარში“ 4 დეს. ხეხილის ბაღი და 11 დეს. სახნავი თ-დ მ. ალ. ორბელიანისაგან 3,000 მ.

ამანვე შეიძინა 1910 წელს გრიგოლ შანშიევისაგან ტყე „უზდა-ტალაში“ 306 დეს. 11,000 მან.

1910 წელს ალმედინგერმა და შპეიზერმა შეიძინეს გიორგი და დავით ბარათაშვილებისაგან სოფ. „ჩურუხკანიაგოში“ 326 დეს. მამული, ამაში 2 დეს. ვენახი—37,830 მან.

1911 წელს ანტ. ალ. ყორღანოვისაგან შეიძინეს ტყე 444 დეს.—23,000 მანეთად.

1913 წელს ემან. ალმედინგერმა მამული სახელდობრ „პირპიანი“ შეიძინა გრ. შანშიევისაგან 1050 დეს. ტყე—50,000 მან., ამ ტყეში უდგია სახერხი მანქანა.

ადოლფ-ბეკმა იყიდა 1911 წელს თავ. კოლა ორბელიანისაგან დეს. 67,000 მან., ამ მამულში ახლად გაუშენებია 6 დეს. ვენახი.

მარტო კუჩენბახმა შეიძინა თავად-აზნაურთა პირებისაგან მთელი რიგი მამულებისა ბორჩალოს მაზრაში:

მამული „გილიაკი“ საძოვარი და სათიბი 720 დეს—144,000 მან.

„ირგანჩაიში“—2640 დეს.—224,800 მან.

„ჯურჯუკენდში“ სახნავი და სათიბი 1,115 დეს.—120,000 მან.

სოფ. „კაპანაკჩში“ მამული „ჩუბუკკამარჩიო“—სახნავი, ვენახი და საძოვარი 325 დეს. 1200 კ. ს.—60,400 მ.

„კაპანაკჩი“ ვენახი—7 დეს.—7,000 მან. მამული „ბუგას-კერანი“—789 დეს. 91000 მანეთად.

სხვა დანარჩენი მამულებისა, რომელიც შეუძენიათ ავსტრო-გერმანელ მოახალშენე პირებს მოხსენებულია გაზეთ „კავკაზის“ 68 ნომერში.

თითქმის მთელი მდ. მაშავერის ხეობა, რომელიც შეადგენს ერთ სამთავროს და ოდესღაც თ-დ ორბელიანების მამული იყო და დმანისის ციხე-ქალაქი ამ ხეობას თავს დასტრიალებდა, დღეს ავსტრო-გერმანელების მოახალშენეთა ხელშია და ბაშკიჩეთის რუსებსაც ნაწილი ამ მამულისა უკავია.

ავსტრო-გერმანელების მოახალშენენი რომ სასოფლო საქმეებზედ არას ზოგავენ და მის გასამშვენიერებლად დიდ ფულს იმეტებენ, ამის დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ სამაზრო ადმინისტრაციამ შეაფასა თითქმის ნახევარ ფასად მათი ღვაწლი და ნამუშევარი ახალშენებზედ გაწეული.

აი, მაგალითად ეკატერინეფელდის სასოფლო საქმეებზედ რამდენი აქვთ დახარჯული:

ხიდებზედ—25,550 მან., მდ. მაშავერის გამაგრება, სოფლელებს შეეკრა—3,250 მან., ეკლესიებზედ დახარჯეს 45000 მან., შკოლებზედ—14,830 მან., სასაფლაოზედ 1,250 მან., კანცელარიის შენობაზედ—4,000 მან., ოთხ საზოგადო შენობაზედ დაუხარჯავთ—14,000 მან. სარწყავი რუები I-ლი არის—15 ვერსი სიგძე, II-რეს აქვს 17 ვერსი სიგრძე და სხვა პატარა რუებს კი 1-2-3-4 ვერსი აქვს, ამ რუების გამოყვანა დაჯდა 55,500 მან. და მათი ნაპირების გამაგრებაც ჯდება—2000 მან.

მაშასადამე სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ ეკატერინეფელდის სასოფლო საქმეებზედ, გზებზედ, ხიდებზედ რუებზედ დახარჯული ჰქონიათ—164,880 მან.

ჩვენ სოფელს კი, რომელიმე პატარა მდინარეზედ ერთი ბეწვის ხიდიც კი არ გაუდვია, რომ ყინვაში ფეხი არ მოეძრას. გზაზედ ბოგირი არ გაუკეთებიათ, რომ ურემი ლაფში არ ჩაიფლოს და სწორედ ამაზედაა გამოჭრილი ხალხისაგან ნათქვამი:

„კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია“.

ვაი ჩვენს სივაგლახეს!

—

მთელ კავკასიაში მოახალშენეთა მამულის სივრცე აწევს 50,000 დესეტინამდე. მე მარტო თბილისის გუბერნიის მოახალშენეთა მამულებს შევეხები.

საინტერესოა განვიხილოთ ყოველი ახალშენის ადგილ-მდებარეობა; ზემოდ რაც მამულები მოვიხსენიეთ, კერძოდ შეძენილი მამულებია და რაც მთავრობამ მიუზომა როგორც სახაზინო ნა-

დელი, ქვევით დავინახავთ, ვის რამდენი დესეტინა უჭირავს.

**1. ახალშენი ალექსანდერსდორფი.**

ამ ახალშენშია 96 სახლი თავისი პატარა შენობებით. ამასთანავე 10 შენობა საერთო სასოფლოთ არის აშენებული და ერთი ეკლესიაც—58 კომლი მოსახლეობს.

| | | |
|---|---|---|
| სოფელს უჭირავს | 15 დ. | 2299 კ. ს. |
| ბოსტანს უკავია | 16 დ. | 472 კ. ს. |
| ვენახი არის | 16 დ. | 1872 კ. ს. |
| სახნავია | 255 დ. | |
| სათიბი | 600 დ. | 2079 კ. ს. |
| საძოვარი | 675 დ. | |
| უვარგისია | 116 დ. | 740 კ. ს. |

რკინის გზას უჭირავს 35 დეს. სულ ალექსანდერსდორფს უჭირავს 1731 დ. 263 კ. ს.

**2. ახალშენი მარიენფელდი.**

აქ ითვლება 74 ქვის შენობა თავის პატარა შენობებით, ოთხი შენობა საზოგადოა, ერთი ეკლესია და ერთი შენობაც პასტორისა. შენობები როგორც ალექსანდერსდორფში და ისე აქ აშენებულია მკვიდრად, ცოტა დაბალი შენობებია, ზეთის საღებავებითაა გაფერილი, შენობების ფასი 2,000—5,000 მანეთამდის აწევს, ერთობ თბილი შენობებია.—46 კომლი ითვლება.

| | |
|---|---|
| სოფელს უჭირავს | 7 დეს. |
| საბოსტნე | 16 დ. |

სახნავი, სათიბი და საძოვარი 1271 დეს. 360 კ. ს. და უვარგისიც იქნება—12 დეს. 1048 კ. ს. მთელ მარიენფელდის მამული შეადგენს—1341 დეს. 1408 კ. ს.

**3. ახალშენი პეტერსდორფი.**

აქ 27 კომლი ითვლება და 46 სახლი აუშენებია, ორიც საზოგადო შენობა არის—ქვითკირით ნაშენია.

სოფელს უჭირავს 3 დეს. ბოსტანი, ვენახიც არის—8 დეს. სახნავი და სათიბი 641 დ. 622 კ. ს. უვარგისია და საძოვარი—58 დეს. 1679 კ. ს.

მთელს სოფელს შეადგენს—711 დ. 622 კ. ს.

**4. ახალშენი ფრეიდენტალი.**

15 კომლი მოსახლეობს, 16 სახლი უდგიათ. ერთი საზოგადო შენობა აქვთ და წისქვილიც ორი თვალი—ქვითკირით ნაშენია.

სოფელს უჭირავს 1 დეს. 710 კ. ს. (სახლის ადგილია). ვენახიც გაუშენებიათ 12 დ. 910 კ. ს. სახნავი და სათიბია 379 დ. 330 კ. ს. მთელს სოფელს შეადგენს 393 დ. 950 კ. ს.

**5. ელისავეტალდი—ეხლა დაარქვეს—ასურეთი.**

167 კომლი ითვლება, 246 სახლი უდგიათ, 5 საზოგადო შენობაა, ეკლესია, სკოლა, საზოგადო სავაჭრო დუქანიც და წისქვილი ორი თვალი.

სოფელს უკავია (სახლის ადგილი)— 11 დ. 910 კ. ს. ვენახია 147 დეს. 490 კ. ს., სახნავი და სათიბია 2333 დეს. 640 კ. ს.. საძოვარი და უვარგისია 1987 დეს. 250 კ. ს.

მთელს სოფელს უკავია 4468 დეს. 2260 კ. ს. ამაში შედის მათი საკუთარი მამული 1288 დეს.

**6. ახალშენი ალექსანდესგოლფი.**

52 კომლი ითვლება და უდგიათ 208 შენობა, ქვითკირით ნაშენია.

სოფელს უკავია 22 დეს., საბოსტნე ადგილებია 14 დეს. 1870 კ. ს. უვარგისია 149 დესეტინა 27 კვადრატი საჟენი, ხეხილის ბაღია 5 დესეტინა. 212 კ. ს., ტყე 582 დეს., სახნავია 601 დეს. 1998 კ. ს., სათიბი 508 დეს. 2116 კ. ს. და საძოვარიც 655 დ. 1553 კ. ს.

მაშასადამე მთელ სოფელს უყიდია 2510 დ. 70 კ. ს.

**7. ახალშენი ეკატერინეფელდი**

ამ ახალშენში ითვლება 191 კომლი და შენობაც ითვლება 415 სახლი, გარდა ეკლესიისა, სასწავლებლების, საზოგადო შენობებისა, წისქვილები, ელექტრონულ სადგურს უჭირავს სამი შენობა, მევენახეთა საზოგადოებას „უნიონს" ეკუთვნის.

სოფელს უკავია 43 დ. 150 კ. ს. ვენახებია 187 დ. 190 კ. ს., სახნავია 1718 დ. 870 კ. ს., სათიბია 534 დ. 150 კ. ს. და საძოვარი და უვარგისი 1726 დ. 80 კ. ს. სულ სოფელს უკავია 4199 დ. 94 კ. ს,

მაშასადამე ამ ზემორე შვიდს ახალშენებს მიზომილი ჰქონია სახაზინო ადგილები სულ ერთიანათ 14,067 დ. 1713 კ. ს. და კომლიც შეადგენს 585 დ.

ამ ასი წლის წინათ ამ შვიდ ახალშენში დასახლებული ყოფილა 368 კომლი, მაშასადამე ერთ საუკუნის განმავლობაში უმატნია 218 კომლი.

ყველა ახალშენებში მთავრობის მამასახლისებია ჩაყენებელი, ალექსანდერსდორფში, ქართველი მამასახლისია, დანარჩენებში კი რუსები. ალექსანდერსდორფში, როგორც ზოგიერთ მათგან გამიგონია, ემადრიელებიან მამასახლისსა. ალექსანდერსდორფი მამასახლისს აძლევს ჯამაგირს თვეში 50 მან. დღე და ღამის ხარჯიც 15 მან., მწერალსაც აძლევს 50 მან.

ბ-ნ ნიკიფოროვის გამოკვლევიდან სჩანს, რომ შეძლებული მოახალშენე ოჯახის შემოსავალი უდრის 3.900 მან. და მისივე გასავალიც 2,000 მანეთი, საშუალო შეძლებულ ოჯახის შემოსავალიც უდრის 2000 მან. და მისივე გასავალიც 1400 მან, ღარიბი ოჯახისა კი 900 მანეთამდის ადის და მისივე გასავალიც 650 მან., ასე რომ ყველას თითოს ზედ მეტი რჩებათ— მდიდარს 1200 მან., შუათანას 600 მან და ღარიბებს 250 მან.

ერთი სიტყვით მოახალშენეთა ოჯახის შესავალ-გასავალი ისეა დაყენებული, რომ აუცილებლივ ზედ-მეტი უნდა დარჩეს და მოახმაროს მეურნეობის ახაყვავებლად და ძირითადი თანხის გასადიდებლად.

რასაკვირველია, თავი და თავი მეურნეობის ეს არის, როდესაც ჩვენგანი ყველანი ამ გზას დაადგებიან, მაშინ მხოლოდ ეშველება ჩვენს სოფელს, ბევრი სხვა მიზეზიცაა, მაგრამ თავდაპირველად ეს უნდა შევითვისოთ, რომ ასი თუმნის შემოსავლის მაგიერ 120 თუმანი არ დავხარჯოთ.

ჩვენ მეტად მოქეიფე და დროსგამტარებელი ხალხი ვართ, სიმხიარულესიამოვნებას მივსდევთ, ავსტრო-გერმანელების მოახალშენენი კი პრაქტიკული, მუშაობას მოყვარულნი ხალხი არიან და ერთი საათის დაკარგვა მათ ცუდათ მიაჩნიათ და არც გასაკვირველია მათი ეკონომიური წარმატება უკეთესი იყოს.

(შემდეგი იქნება).

Legatus.

# ვერდენის სიმაგრე

(ისტორიული ცნობა)

ქალაქი ვერდენი ძველის ძველი ქალაქია და სახელად Viridunium-ი ერქვა მისი ისტორიული წარსული ფრიად საგულისხმოა. მრავალი მტერი ეხეთქებოდა მის ზღუდეებს და მრავალჯერ დაუნგრევიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ. მის კედლებს უნახავს ატილა, ხლოდვიგა, როტარი და სხვა მებრძოლნი.

ამ ჟამად ვერდენში სცხოვრობს 15000 სული. მუშაობს ლუდის და თუჯის სასხმელი ქარხნები. ვერდენის მახლობლად მოიპოვება მარმარილო. აქ მზადდება კამფეტი, ლიქორი და სხვა. ვაჭრობა სწარმოებს პურისა, ერბოსი, კარაქისა, ღვინისა და თევზეულობისა.

ისტორიიდან ვიცით, რომ 843 წელს ვერდენში დაიწერა პირობა, რომლის ძალითაც კარლოს დიდის შთამომავლობამ ლიუდოვიკ კეთილმორწმუნის შვილებმა საფრანგეთი სამს ნაწილად გაიყვეს. ერთს ერგო იტალია, მერეს გერმანეთი და მესამეს საფრანგეთი.

ამის შემდეგ ვერდენი ხან ფრანგების ხელში გადადიოდა ხან გერმანელებისაში, ხოლო 1553 წელს ვერდენი საბოლოოდ ფრანგთა სიმაგრედ გადაიქცა.

ლიუდოვიკ XIV-ის დროს ამშენებელმა ვობანმა აულებელ სიმაგრედ გარდააქცია. 1792 წელს რევოლიუციის დროს ვერდენი პრუსიელებმა დაიპყრეს, მაგრამ ისევ მალევე გაანთავისუფლეს.

1870 წელს ვერდენი პრუსიელებმა ხელ ახლად დაიპყრეს.

1871 წლის ხელშეკრულობის ძალით მეცის სიმაგრე პრუსიელებს დაეთმოთ. ამის გამო ვერდენს დიდი მნიშვნელობა მიეცა და ფრანგებმა მისი გამაგრება იწყეს. მიუმატეს 19 ციხე-ბურჯი. აქედან 7 მაასის მარჯვენა ნაპირზეა, 4 მარცხენაზე.

# ქალაქის არჩევნები

3 აპრილს მოხდა დამატებითი არჩევნები ქალაქის საბჭოს ხმოსანთა 1916—1919 წლ.

**პირველ საარჩევნო** უბანში ხმოსნობაზე კენჭი უყარეს 11 კაცს და 11-ვე გაშავდა: 1) გ. ლ. მაჭავარიანი (114 თ. 136 შ.) 2) გ. მ. მუხაძე (88 თ. 164 შ.), 3) პ. გ. საყვარელიძე (118 თ. 135 შ.), 4) გ. ბ. ხუხუნი (75 თ. 177 შ.), 5) გ. ე. ციცაძე (119 თ. 134 შ.), 6) მ. დ. ჭავჭავაძე (117 თ. 135 შ.), 7) ფ. ფ. ვოლოდკო (61 თ. 190 შ.), 8) ა. ა. ეგოროვი (56 თ. 193 შ.), 9) ნ. ს. მატვეევი (81 თ. 169 შ.), 10) ი. პ. პეტროვი (78 თ. 172 შ.), და 1) ა. ა. მირაქოვი (95 თ. 159. შ.).

ხმოსნების კანდიდატებად გავიდნენ: 1) ა. ა. ბებუთოვი (152 თ. 105 შ.), და 2) თ. ვ. მაროზოვი (144 111 შ.).

აღნიშნულ თანამდებობაზე კენჭი იყარეს და გაშავდნენ: 1) კ. ე. ანტონოვმა (112 თ. 140 შ.), 2) ი. ე. ფსაროვმა (116 თ. 134 შ.), და 2) მ. ვ. ტაროშინმა (84 თ. 168 შ.).

**მეორე საარჩევნო** უბანში კანდიდატებად გავიდნენ. 1) ბ. ე. ქალანთაროვი (69 თ. 19 შ.), 2) გ. ი. ოგანეზოვი (66 თ, 22 შ.) და ა. პ. ოპოჩინინი (62 თ. 26 შ.).

კენჭი იყარა და გაშავდა ტ. ი. ქეფინოვი (62 შ. 26 თ.).

**მესამე საარჩევნო** უბანში კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: 1) გ. ნ. სტეფანოვი (102 თ. 17 შ.), 2) ვ. ი. წოვიანოვი (85 თ. 34 შ.) და 3) ს. ა. ვართაზაროვი (83 თ. 36 შ.).

კენჭი იყარეს და გაშავდნენ: 1) ა. ს. ბაღდასაროვი (64 შ. 55 თ.), 2) ტ. ვ. ტერ-ოგანესოვი (94 შ. 25 თ.) და 3) მაშადი ალი ყულიევი (95 შ. 24 თ.).

**მეოთხე საარჩევნო** უბანში კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: 1) ექ. ი. ს. იგიტიანცი (140 თ. 24 შ.), 2) ს. ი. ფირაქაშვილი (139 თ. 25 შ.).

ყუთი დაიდგა, მაგრამ 1 საათ. 50 წუთ. ისევ მოხსნა ს. ზ. მირზოევმა.

**მეექვსე საარჩევნო** უბანში ხმოსნებად გავიდნენ: 1) ბ. დ. კავალენსკი (188 თ. 125 შ.), 2) ტერ-იონისიანცი (159 თ. 153 შ.) და 3) დ. ა. შავეროვი (188 თ. 125 შ.).

კენჭი იყარეს და გაშავდნენ: 1) გ. ფ. ვაშაკიძე (119 თ. 195 შ.), 2) თ. ზ. ღლონტი (103 თ. 211 შ.), 3) ექ. ი. ი. გოკიელი (74 თ. 242 შ.), 4) ი. ი. კაჩუხოვი (157 თ. 157 შ.), ექ. ნ. მ. მელიქიშვილი (124 თ. 188 შ.) და 6) პ. კ. მიმინაშვილი (76 თ. 235 შ.), 7) ნ. ო. აბრამიანი (134 თ. 179 შ.), 8) ზ. დ. მამულოვი (148 თ. 164 შ.), 9) გ. ს. პარადოვი (89 თ. 223 შ.), 10) ს. ვ. ბელოუსოვი (108 თ. 205 შ.), 11) ა. ი. ლიბერმანი (43 თ. 279 შ.) და 12) ვ. ვ. პეტროვი (88 თ. 224 შავი).

კანდიდატებად გავიდნენ: 1) ს. თ. ხუნდაძე (167 თ. 147 შ. და 2) ა. ტ. ბახატუნიანი (199 თ. 113შავი).

აღნიშნულ თანამდებობაზე კენჭი იყარეს და გაშავდნენ: 1) დ. ა. დავითაშვილი (92 თ, 222 შ.), 2) ი. ი. ზურაბიშვილი (107 თ. 201 შ.), 3) ბ. ს. ბაბოვი (121 თ. 192 შ.), 4( გ. გ. ტერ-ნერსესოვი 127 თ. 186 შ. და 5) ბ. ვ. ელჩანინოვი 88 თ. 226 შ.)

არჩევნები 3 აპრილს სავსებით დამთავრდა ყველა უბანში. საეჭვო არის არჩევნები მეორე უბნისა, რომლის შესახებ ზოგიერთმა ამომრჩევლებმა საჩივარი შეიტანეს.

# წერილი აჭარიდან

**მასწავლებელი ვაჟი თუ ქალი.**

ბევრი იმ აზრის არის, რომ სოფლის სკოლის მასწავლებლად ქალს ვაჟი სჯობნისო. სხვა დროს და სხვა ადგილას იქნებ ეს მართლაც ასე სჯობდეს, მაგრამ აჭარა-ქობულეთში ვაჟ მასწავლებელს ყოველთვის ქალი აჯობებს. ამის დასამტკიცებლად წაიკითხეთ ჩვენი წერილი აჭარიდან, რომელშიაც ახლად დაარსებული სკოლების მოქმედების მოკლე ანგარიშია. მუყაითმა და საქმის მოყვარულმა მასწავლებელმა ქალებმა შესძლეს და სულ ორიოდე კვირის განმავლობაში თავიანთ სკოლის გარშემო შემოიკრიბეს გათხოვილი ქალები და ცოლიანი ვაჟები. ეს დიდრონებიც ხალისით დადიან საღამოობით და უქმე დღეობით და მასწავლებელ ქალთან სწავლობენ წერა-კითხვას. მასწავლებელი ვაჟიც მართალია შესძლებს დიდრონებისათვის საღამოს კურსების მოწყობას, მაგრამ ცხადია მუსლიმანი დობილი მას ახლოს არ გაეკარება. მასწავლებელ ქალთან კი ორივე სქესის დაუბრკოლებლივ ივლის. სკოლების წარმატება, მოწაფეთა შეჯიბრება, სკოლაში წესიერი სიარული, სუფთა ჩაცმა - დახურვა, სხეულის სისუფთავე და სხვა ყოველივე დამოკიდებულია ოჯახის დიასახლისზე— მოწაფის დედაზე. დედასთან და საზოგადოდ მშობლებთან დაახლოება, მათთან სულიერი კავშირის დაჭერა კი მხოლოდ ქალს შეუძლიან.

აქ (განსაკუთრებით აჭარაში) სულ სხვა პირობებია, რომლებიც პირდაპირ გვიკარნახებს, რომ აქ უპირატესობა მივცეთ მასწავლებელ ქალს. აჭაური მასწავლებელი ქალი ერთ და იმავე დროს მოწყალების დაც უნდა იყოს. იმან არ უნდა დაიზაროს ზოგიერთ მოწაფეს მიჰყვეს ოჯახში და მოწაფის დედას ასწავლოს დაბანადარეცხა, დაუთოება, ლილის მოხმარება, საჭმელის გაკეთება, სკოლაში თავის დროზე შვილის გამოგზავნა, ოჯახში შვილის ზნეობრივი აღზრდა, (სად წვება, რა პირობებში ცხოვრობს და სხ.) ყველა ეს აქაურ პირობებში ეხერხება მხოლოდ ქალს და არა ვაჟს. მაშასადამე, იქ, საცა ორი მასწავლებელი, ერთი ქალი და ერთი ვაჟი არ გაიგზავნება, იმ შემთხვევაში ყოველთვის უნდა ვამჯობინოთ ქალი. რა გააძლებინებს მარტო ქალს მთის ყრუ სოფელშიო, მეტყვიან. გააძლებინებს **საქმე და ამ საქმის სიყვარული.** ადამიანს ციხის საკანშიაც არ მოსწყინდება თუ იქ საქმე გაიჩინა და სოფელში საცა აუარება საქმეა, რად უნდა მოსწყინდეს ვინმეს. თუ ვინმე მასწავლებელი იტყვის აჭარის სოფელში მომწყინდაო, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ ის საქმეს გაურბის. ს. ხუცუბანიც ყრუ ადგილია, მაგრამ მიბრძანეთ განა მოიწყენს იქაური მასწავლებელი ქალები. სად აქვთ დრო მოიწყინონ და გართობა-ფუფუნებაზე იოცნებონ, რადგან დღისით 127 მოწაფეს უნდა ასწავლონ, საღამოობით 45 დიდრონებთან იმეცადინონ. მერმე რვეულში ასწორონ. მოიწყინო კი არა დარწმუნებული ვარ გაზეთის წასაკითხი დროც არ ექნებათ. იმას თუ ვინმე იფიქრებს მარტო ქალი უცხოთა შორის ყრუ ადგილას ცოდვაა—საფრთხილოა, ტყვილი შიშია. აჭარაში, რამდენად უფრო ყრუ ადგილას იქნება სტუმარი ქალი, იმდენად ის მეტი პატივცემული იქნება, მას ყველა თვალის ჩინივით მოუვლის და ვერავინ ვერ გაბედავს შეურაცხყოფა მიაყენოს —არც ყოფილა ამისა მაგალითი, რომ აჭარელს ქალი და ისიც სტუმარი შეეურაცხყოს. ვიმეორებ, როგორც ჩემს აზრს ისე სხვებისას (აჭარლების ცხოვრების მცოდნეებისას), რომ აჭარაში მასწავლებელი ქალი ბევრად მეტი საჭიროა, ვიდრე ვაჟი.

აპ. წ—ძე.

# წერილი სამეგრელოდან

**სოფლის მასწავლებელთა კრება.**

ქ. ზუგდიდში დანიშნულია, მთავრობის ნებართვით, მაზრის ყველა ტიპის სკოლების მასწავლებელთა კრება. კრების უმთავრესი მიზანია: ქუთაისის გუბერნიის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების განყოფილების დაარსება ქ. ზუგდიდში.

ზუგდიდის მაზრის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კრება ჰგულისხმობს კრებას მთელის მასწავლებელთა შემადგენლობისას ამ მაზრაში, რადგან აქ პირველდაწყებითზე მაღალი სკოლა არც კი არსებობს.

ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ასეთ კრებას, ჩვენ სრულიად მეტად მიგვაჩნია, საჭიროა მხოლოდ ისარგებლონ მასწავლებლებმა ამ იშვიათის შემთხვევით და უკლისად მოიყარონ თავი. გარდა ხსენებული განყოფილების დაარსებისა აქ მათ შეუძლიანთ გაუზიარონ ერთი მეორეს თავიანთი აზრი და გამოცდილება სწავლის მეთოდთა გაუმჯობესობაზე საზოგადოდ და განსაკუთრებით კი სამშობლო ენისა, რომლის სწავლების საქმე ჩვენში, როგორც ვიცით, სამწუხაროდ, არ არის დაყენებული სასურველად.

არ დაივიწყებენ, რასაკვირველია, უმწეო მდგომარეობასაც საკუთარის თავისას და გადასდგამენ მცირე ნაბიჯს გაჯახირებულ ცხოვრების ასე თუ ისე უზრუნველ-საყოფელად.

ხომ ხედვენ, რომ მათზე სხვა არავინ ზრუნავს.

კაი.

# დაბა-სოფლები

**ს. ლამისყანა** (ქსნის ხეობა). წარსულ თვეში მოხდა ლამისყანის კოოპერატიული მაღაზიის წევრების წლიური კრება თ-დ ს. მ. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით.

ეს კოოპერატივი ადგილობრივი მებატონის თ-დ ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის სურვილით და მატერიალური დახმარებით იყო დაარსებული; მან ჩაუყარა საძირკველი ამ საშვილიშვილო საქმეს ორი წლის წინათ და მხურვალე მონაწილეობასაც იღებდა საქმის მოწყობაში. საგულისხმიეროა, რომ მაღაზიის დაარსების დროს ამხანაგებათ ითვლებოდა სულ 47 კაცი და თავნი ჰქონდათ 800 მანეთი; ორი წლის განმავლობაში კი, საქმე ისე გაიზარდა და გაფართოვდა, რომ ადგილობრივი ჩარჩი მედუქნეები იძულებულნი გახდნენ დაეკეტნათ თავისი დუქნები და მთელი გარეშე სოფლები ტალღასავით მოაწყდნენ სავაჭროთ ამ ყოველმხრივ სიმპატიურ დაწესებულებას.

ანგარიშიდან გამოირკვა, რომ სავაჭრო თანხა 16 ჯერ მოტრიალებულა, რაც მაჩვენებელია ფხიზელი ვაჭრობისა და შერჩეული სავაჭროსი. დიდი მადლობის ღირსია ადგილობრივი მღვდელი გ. კარბელაშვილი, რომელიც თ-დ ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის ხელმძღვანელობით აწარმოებდა საქმეს, რაიც ასე კარგათ მოწესრიგდა, სამწუხაროდ, დროს უქონლობის გამო, მან უარი განაცხადა საქმის წარმოებაზედ.

ანგარიშიდანვე სჩანს, რომ მაღაზიას შეუძენია საჭირო ავეჯი, დაუმსახურებია ნდობა და ძალიან დიდი წმინდა მოგებაც დარჩენია—თითო თუმნის პაის ერგო 19 მანეთი, ყველა ხარჯ გარეთ, რამაც მეტათ წაახალისა კოოპერატივის წევრები.

ვუსურვებთ ამ ყოველმხრივ სიმპატიურ დაწესებულებას წარმატებას, გამგეობას კი უნარს, მით უმეტეს, რომ საქმე უკვე კალაპოტშია ჩაყენებული.

ს—ნ.

# წერილი რედ. მიმართ

([illegible] ცნობის გამო)

30 მარტს გაზეთ „საქართველო"-ს 71 №-ში მოთავსებული იყო სურამიდან ცნობა, „რომ ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება შესდგება ორ აპრილს, რომელზედაც გამგეობის წევრების არჩევნები მოხდებაო".

ვალდებული ვარ ვაცნობო მკითხველთ ყოველნაირ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ ორ აპრილს საზოგადოების გამგეობამ საგანგებო კრების დანიშვნა სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოასწრო და იგი გადაიდო მაისისთვის *).

სურამის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

გ. შალიბაშვილი.

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,

№ 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
>
> Suisse. Recommandée
> Comité International de la
> Croix Rouge.
> Agence des prisonniers de
> guerre Genève.

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | სად. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 | სად. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | სად. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 | სად. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |


წიგნის მაღაზია

**„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").**

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეზველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.